


ქუთაისის
პ.ს.



თ ა მ ი.



კ ვ ი რ ა, 28 ნოემბერი, 1910 წელი.

დასაბეჭდი წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Тип. Хеладзе, Б—дзе.

ქუთაისი, 28 ნოემბერი.

585
14

ქუთათურთა ლტოლვილება განხორციელდა, ქალაქის თავი აირჩიეს. ქუთაისის მეთათურთა ბ-ნ იაკობ ფანცხავას არგუნეს. ვინ აირჩია ბ-ნი ფანცხავა? ის აირჩია ქალაქის შექმლებულმა ნაწილმა. — აშკარაა დღევანდელ საქალაქო დებულების მეოხებით, საერთოდ ყველა ქალაქების ბედ-იღბალი შეძლებულ მოქალაქეთა, ესე იგი სახლის პატრონთა ხელშია ჩაყარდნილი, ფართე მასსა განდევნილია საარჩევნო სიებიდან, მას არ ეკითხებიან ქალაქის ბედ-იღბალს, მას არ ცნობენ ღირსათ ჩაერიოს იმ ქალაქის ცხოვრებას მოწესრიგებაში, სადაც ის ცხოვრობს და მოქმედებს. ასეთ პირობებში ნამდვილ მთელ მოქალაქეთა წარმომადგენლის არჩევა შეუძლებელია, და აი, ამიტომ ჩვენ ბ-ნ იაკობ ფანცხავას ვერ ვცნობთ საერთო მთელი ქუთაისის ინტერესების გამომხატველათ. ყოველ შემთხვევაში მომავალი მოქმედება ახლად არჩეულ ქალაქის თავისა დაგვანახებს, თუ ვისკენ იქნება მიმართული მისი „სიმპატია“. კერძოთ იმ „ცენზიანების“ მიმართ, რომლებმაც აირჩიეს ის თავის წარმომადგენლათ, თუ საერთოთ მთელი ქუთაისის დემოკრატიისა, (მასისა).

ქუთაისის აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება ბევრს შრომას მოითხოვს. — უპირველესად ქალაქის მეთათურთა დიდი ყურადღება უნდა მიექციოს პირველ-დაწყებითი სკოლების გამრავლებას და მათში უფასო სწავლის განხორციელებას, მეორედ წყლის საყვან მიწების

აგებას, მესამედ ქალაქში „ტრამვაის“ მოწყობას, ქალაქის ელექტრონით განათებას, საავადმყოფოს მოწესრიგებას, ბინის საკითხის გარკვევას, შრომის ბირჟის დაარსებას, ქალაქის სავაჭრო და სხვა დაწესებულებებში დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, და დღევანდელ თეატრის უხვირო შენობის გადაკეთებას და სხვა. თუ ახლად არჩეული ქალაქის წარმომადგენელი ცხოვრების-მიერ წამოყენებულ საჭიროებებს ანგარიშს გაუწევს, და ქალაქის უხვირო ცხოვრებას მოაგვარებს, მაშინ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქალაქის წარმომადგენელმა ოდნავ მაინც განახორციელა იმ დემოკრატიული ნაწილის მოთხოვნა, რომელიც მის არჩევაში დღევანდელი უხვირო არჩევნების მეოხებით აკტიურ მონაწილეობას ვერ ღებულუბდა.

ქუთაისის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლების დაუდევრობა-უშოქმედობაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ისინი მიუხედავად ამისა თავს არ იწუხებენ შექმნან ისეთი საზოგადო დაწესებულება, რომლის საშვალეობით ცოტათი მაინც გააუმჯობესებენ, როგორც თავისი ბეჩავი ცხოვრებას, ისე იმ დიად საქმეს, რომელსაც სახალხო განათლება ეწოდება, მე აქ არ გამოუდგები დაწვრილებით იმის ჩამოთვლას, თუ რა დიადი მნიშვნელობა ექნება მასწავლებელთა „შემაერთებელ-დამაკავ-

შირებელ დაწესებულებას“, მინდა მხოლოდ მიუთითო საერთო მთელ მასწავლებლებს, და კეძოდ ქუთათორთ, თუ რა სახის საზოგადო დაწესებულება იქნება ჩვენთვის ამ ჟამათ უმჯობესი და ვის შეეძლება მისი მოწყობა; ბევრიც რომ ეცადოს სხვა და სხვა სოფლებში მყოფ მასწავლებლებმა ამ აზრის განხორციელებას, მინც ვერ შესძლებენ, რადგანაც მათ ერთი მეორესაგან აშორებს ხშირათ ისეთი მანძილი, რომ ორ მეზობელ სოფელში მყოფი მასწავლებლები, გაივლის მთელი წელიწადი, ერთი მეორეს ვერ ნახავენ; ასეთ პირობებში მყოფ მასწავლებელმა კიდევ რომ იკისროს ინიციატორობა, როგორ უნდა მოახერხოს საჭირო აგიტაციის გაწევა თავის აზრის გასავრცელებლათ, არა ნაკლებად გაუჭირდება მას ნებართვის აღება და სხვა. შესაძლოა და მოსახერხებელიც ასეთი ინიციატივის კისრება ქ. ქუთაისის მასწავლებლებისათვის. ამ ჟამად, ჩემის აზრით, საუკეთესო საზოგადოებრივ დაწესებულებათ მასწავლებელთათვის უნდა ჩაითვალოს „ურთიერთდამხმარე საზოგადოება“, რომლის დაარსება ამ დრომდისაც შეეძლო ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებს, ცოტათი

მაიმო, რომ მოენდომებიათ. ქალაქის სკოლების მასწავლებლებს, როგორც ვიცი დიდი ხანია აღძრული აქვსთ ამის შესახებ სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეგ საქმე კიდევ მივიწყებულია. ქუთაისის ქალაქის სკოლების მასწავლებლების მიერ წარდგენილი წესდება 1909 წ. ზაფხულზე მომხდარ მასწავლებელთა საგუბერნიო კრებაზე, დირექტორმა სემიონოვმა გააცნო მასწავლებლებს, ამით მოიწონეს ეს წესდება და დირექტორმაც აღუთქვა მისი განხორციელება, მაგრამ „ბიუროკრატს“ საღსკალია ასეთი საქმისათვის, საჭირო იყო თვით ინიციატორებს მოეკიდებიათ ხელი მისთვის, მაგრამ როგორც ეტყობა ვერც ამით მოუცლიათ განგვრძოთ დაწყებული საქმე. იმედია ამ მცირე შენიშვნის შემდეგ მინც შეთანხმდებიან ქუთათურა მასწავლებლები და შეერთებულის ძალით განაგრძობენ დაწყებულ საქმეს, მათ ხმას მისცემენ სოფლის მასწავლებლებიც და შეიძლება ამგვარად საქმე გამოიჩარხოს. მართალია, რომ მათ დამახასიათებლათ შეიძლება ჩაითვალოს ერთი მასწავლებლის შემდეგი ნაშრომი: „დავინახე, რომ ჩემთან სარევიზიოთ

ფელეტიონი

მოღნი სიყვარული

(საზღმარო სცენა ერთ მოქმედებათ, აღებული ჩვენს ცხოვრებიდან).

- 1) პეტრა ძონძროხაძე—ვაჟარი 60 წლის.
- 2) თამარ—ამისი ცოლი, 50 წლის.
- 3) სინდუსტი—ამათი ქალიშვილი, 30 წლის.
- 4) გიორგი ძინაძე—სტუდენტი.
- 5) სიმონ გვირაძე—მაჟანკალი 40 წლის.
- 6) ნიკო სხირტლაძე—მოსამსახურე.
- 7) პელაგია—გოგო. (სტუმრები).

სცენა წარმოადგენს მდიდრულათ მორთულ ძონძროხაძის ოთახს, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აქვს კარები; ფარდის ანდის დროს სცენაზე გამოჩნდება ნიკო, ოთახს ალაგებს.

ნიკო. (მიაყურებს)—სადაა ამდენხანს, ჰე თვალზე დასაფსები ჰელაგია!! ალბათ არ გოუგია იმ საცოდავს, რომ ძნლო ბატონმა კონჩილს. დედა, დედა, დედა რას ვიქეიფევ!—(პაუზა) თუ ჩემი ბატონის ქალიშვილს სინდუსტიას საქმრო გამოუჩნდებოდა, ღმერთმანი არ მეგონა!!! (ჩაფაქრდება) არა, კი მინახავს გოჯი ადამიანი, მარა ე ჩემი ბატონის ქალიშვილისანა მახინჯი არაფელი არ მინახავს! (დაჩუკათ)—სიმაღლით, ბატონო, მოკლე; ასე, კარგია თუ

იქნება არშინი და ორი ვერშოკი; ტანადობით და მოყვანილობით ხონის გულვარდში ერთი ხუთასი წლის ცაცხვია, იმასა გავს; თვალები გაპარპაჩებულ წითელ სოკას უგავს, ცხვირი თუ მეტი არა самый последний არშინი მინც აქვს. ფეხი, თავი და ტანი გაწორებულა აქვს. (სქაგებს აქნეკს) ვერაფლს, დიდებით ვერ გოუგებთ მაგ შეჩვენებულს წილი საღ იწყება და საღ თავდება!—სახლში კიდო არა უშავს, ქე დაგორავს მორგვიეთე მარა შენს მტერს იმისანა, იმას გულვარდში რომ დეინახამ გამოწყობილს!!—კაბა ძვირფასი, მარა, ბატონო, ბედოურის კეხი როდის ადგებოდა ვირს! თავზე დეიდობს, მარა რას დეიდობს, მთელ ბოსტანს.—თითონ სიმაღლით არშინს, აჰ, ცოტა ცილდება, და ქული ამ ლეთისაგან შეჩვენებულს არშინ ნახევირანი აქვს. (პაუზა)—სიარულს არ იკითხამთ?! ყოვლად უმსგავსო, რომ მიდის, ბატონო. არშინით უნდა ჩაშორდე, თვარა გვერდებს ჩავანტროვს.—ბატონებო, აჰ, თუ გინახავთ სიარულის დროს „ხილისთაველ“ დელეენასავით ყანყალოვს. ნამდვილი საფრთხობელაა!—სინდუსტია გულვარს, რომ შეუარ-შემოუარს, არც ერთი ჩიტი გულვარში არ იცდის. მერე, მერე არ იკითხამთ ამ წაპილწულს კიდევ რა ჰირი ჰირს?! ორი ნაკლასარია ეს საცოდავი და ქართულად! თქვენ არ მომიკვტდეთ, ლაპარაკს არ კადრუ-

მოდიოდა ინსპექტორი, მე არ დავკარგე გონება და სუსტი ბავშვები იატაკის ქვეშ შევუშვი, იღბლად სკოლის შენობა მალლად იდგა და იატაკის ქვეშ ბავშვები გაიმართებოდნენ. შემოვიდა სკოლაში ინსპექტორი, მაგრამ იცოდნენ მაცივებდა, ვაი, თუ ინსპექტორმა ბავშვებს მიესალმა და უთხრა: „Здравствуйте дѣти“, ბავშვები იატაკის ქვემოდად შემოსახებდნენ: Здравія жєлаємъ... მაგრამ მადლობა ღმერთს ინსპექტორმა მარტო თავი დაუკრა და ბავშვები და მეც გადავჩიო უბედურებას; რევიზიამ კარგად ჩაიარა და ინსპექტორმაც მადლობა მითხრაო“, დაასრულა აღტაცებით მოსაუბრემ. აი, თუ გნებავთ, „ტიპი“ დღევანდელი მასწავლებელთა უმრავლესობისა, მაგრამ მათ შორის კიდევ არიან საკმაოდ დარჩენილი ბრწყინვალე პიროვნებანი, რომელთაც მქაღროთ აქვს გამჯდარი ძვალში და რბილში წმინდა იდეალები, ესენი დიდი სიხარულით მიეგებებიან იმ საზოგადოების დაარსებას, რომლის შესახებაც მე უკვე მქონდა ბასი, თუ კი, ვიმეორებ, ქუთათური მასწავლებლები არ დაიზარებენ შრომას, იკისრებენ ინიციატორობას და შეთანხმებულის ძალით მხნეთ მოუწოდებ-

ლობს!! „Пожалуста зрасти, пожалуста до-сиданіе“ პირზე აკერია.—კი ჯობდა ღმერთმანი დედამისი რომ გამსკდარიყო ამის დაბადებას.—შესახედავთ ხომ ჯოჯოა და ჯოჯო, ხსიათი ამ ღვთისაგან შეჩვენებულს თლა წაპილწული აქვს. გაგვიჭირა საქმე მე და პელაგიას. დღე არ გაივლის ისე, ბატონო, აყალმაყალი არ აგვიტეხოს.—მე უკაცრავად! შემოკრას ვერ მიბედავს, საცოდავ პელაგიას სულ კიკინეთ დაათრევს. ყელში სისხლი მომივა პელაგიას რო დოუწყებს კიკინაში პორწილს; ვიფიქრებ რაც იქნება იქნება, ერთ დავაგუნდავებ ამ ღვთის გლახას მეთქი, მარა გამახსენდება ბატონის ქალიშვილი რო არის და გავჩუმდები! რას იზამ, ბატონო, ისეთი დროა, რომ ორი გროშიზან ჯაბუნაკი რო მოგიტანონ, უნდა შექაო. (წმენდს. ჰაჰჰა.) ჯანდაბა მაგათ, რაც იყო!—ეხლა როგორც გვევიგე შეჩვენებულ სინდუხტისა „მოლნი სიყვარულით“ ათხოვებენ. ათხოვებენ-კი, მარა რაა ეს „მოლნი სიყვარულით“ გათხოვება, ღმერთმანი ვერ გავიგე?! მარა ან-ქე რათ მინდა ამის გაგება! (დაფიქრდება)—ვიქიფებ, ღმერთმანი ვიქიფებ სინდუხტია თუ პეტრე ძონძროხაძის ოჯახს მოაშორეს. (დაფიქრდება.)—რა ვიცი ცოტათი ქე შეეძლება ბატონის ბარიშნის გათხოვება; ნამეტანს იტყლაქება:—ლლასნი მინდაო, დოხტური მინდაო, ანტუკატი მინდაო, პოკურო-

ბენ სოფლის მასწავლებლებს ამ სიმპატიური აზრის განსახორციელებლათ.

მასწავლებელი.

მ ა შ ი კ ო ს .

მეტის მეტათ იბრანტები. თუ მზითები აღარა გაქვს, ლამაზი ხარ, იცი განა? შენთვის საქმრო არსად არი. უფულოთ ვინ მოგიტაცებს? — თუ ფული გაქვს, რა თქმა არვის უნდა შენისთანა. — უნდა, საქმროც ბევრი გამოჩნდება: ლამაზი ხარ ჭკვიანიცა, სწავლული და უსწავლელი სადღვლოთ ხარ გამოჭრილი მავრამ ეხლა უმზითოთა, ყველა კარზედ მოგადგება. არ გაიკრთო ტყვილათ ვინ იკითხავს, როგორი ხარ? ძილი. ბებერი ხარ თუ ყმაწვილი? შეიცვალა დრო და ჟამი: მხოლოდ ფული უჩვენე და არ ეძებენ პირადობას, შენ შეგიერთავს თვით სწავლული. ფულს ითხოვენ და არა ქალს, ვინ აფასებს ჭკუას, გრძნობას? — ჯვარს დაიწერს, ვიალერ მინამ დაიხარჯვის ფული. რაც რომ უნდა კარგი იყო მერმე შენი აღარ უნდა ალერსი და სიყვარული. მზე და მთვარის შესადარი, კარტოხა.

რი მინდაო! რომელი ჯანდაბის დოხტური და პოკურორი ითხოვს ამ გონჯს, მარა, ნწტბ, правда, правда, ბატონო, ნამდვილათ თხოვდება.—აბა, რეიზანაა, თუ არ თხოვდება ქვეყანა რო ულოცამდა გუშინ ქალბატონსა და ბატონს. „ღმერთმა გიბედნიეროს ახალი სიძეო“. მეტი ოუშენდა ახალ სიძეს გამომცემელი, ის ბედნიერი იქნეს სინდუხტის ხელში, მარა მე რა მენაღვლება, მწხ все равно, ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი, ეპ შავი ჭირი ხო მიყავენ ამ ოჯახიდან! (წმენდს). პელაგია. ბიჭო ნიკოია, მალე დაასუფთავე ოთახი, ქალბატონი სტუმრებს ელის (გადის). ნიკო. აჰ, მოვათავებ სადაც არის (აჯაგებს) არა, საქმე ურიგოთ არ არის, ნამდვილ ნიშნობა აქ ბატონს.—ძან შტუკა-კი უნდა იყვეს ეს „მოლნი სიყვარული!“ არაფელ სიყვარულს გარდა მოლნისა, ბატონო, ბატონის ქალიშვილის გათხოვება არ შეეძლო.—არა უნდა გვევიგო რას ქვია „მოლნი სიყვარული!“ ერთი მობრარტული ბიძის შვილი მყავს, სინდუხტიაზენაკლები სორტის არ არის მარა, თუ მოლნი სიყვარულით არა, ისე არციმისი გათხოვება შეიძლება პელაგია. (გუჯისუბიდან ისმის ხმა.) რა ქენი, ნიკოია, არ მოჩჩი, სტუმრები მოდიან. ნიკო. აჰ გავათავე, გავათავე (გადის. ჰა-

კატარა ფელეტონი.

უკანასკნელი ფურცლიდან.

ერთხელ მაინც მისმინე სატროფოვ!...

გაზაფხულის ნეტარი ღღერები იდგა და ნაზი ამწვანებული ბუნება ხარობდა; ყველაფერი ახლად იფურჩქნებოდა, შეყვარებულნი ერთმანეთს ეფიცებოდნენ და ბულბული ტკბილად უსტვენდა.

მზეც თავისს გამარჯვებას ხედავდა და მისს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

...დილაადრიან ამოშკაშკაშდებოდა და უხვად უგზავნიდა დედამიწას სხივებს, მაგრამ უფრო აღრე კი ამ ოქროსფერ სხივებს ღრმა მდინარეში ჩაატყურებდა. ოქროს მძივებივით დაკქრიანდებდნენ მზის სხივები ხალისით მორაკ-რაკე მდინარის ტალღებში. აიფოფრებოდა თუ არა განსეტაკებულნი, ანკარა ტალღა მდინარის, ცელქი მზის სხივი ზოლივით გადაეკვროდა მას, ისარივით გამსჭვალავდა, გულის

უზს. შემოდაან ჰეტრე და სიმონი).

პეტრე. (კუფისუბიდან)—მობრძანდით, ბატონო, სიმონ, მობრძანდით! (შემოდაან.)

სიმონი. აქა მშვიდობა.

პეტრე. დაბრძანდით ბატონო! — (ძაფვადებას მკვადას).

სიმონი.—მდიდრულათ ნაცხოვრებხართ, პეტრე ზაალიჩ!

პეტრე.— ეჰ, სად არის, სიმონ, მდიდრული ცხოვრება, წინად მართლაც არა მიშავდა, თუ ვინმე ცხოვრობდა ერთი, მეც ვცხოვრობდი!—1905-მა წელმა არია ჩემი ცხოვრება. ვერ გაუძელი, ბატონო, ყოველ თვეში ბიჭები მეფიცებოდა; სავაქრო დუქნება ნახევარჯელ დაკეტილი მქონდა. სულ მცირედი რომ ვიანგარიშოთ, იმ წყულმა არეულობამ, 30,000 მანეთი ზარალი მომცა.

სიმონი. (შეწუხებულად.)—თუ ღმერთი გწამს არეულობას ნუ გამახსენებთ! მე დამლუბა, ბატონო, არეულობამ დაჰლუბა. იმ შეჩვენებულ დროს რაა ერთი ქალი არ გამითხოვებია, და ერთ ყმაწვილისათვის ცოლი არ შემირთავს. წარმოიდგინეთ ეგ რამდენი ზარალია! წინად თვეში „სამი პოსლედნი“ ორ ახალგაზდა ყმაწვილს გადავწერიდი ჯვარს, და მე—კი ჯიბეში სამას—ხუთას მანეთს გავიკრამდი.—ორ წელიწადს გროში რაა, არ ამიღია სამაქანკლო. პეტრე ზაალიჩ? ვის ეცალა საცოლეთ, ვის?! ზოგს

სიღრმეში ჩასწვდებოდა და გაშმაგებული ჩაპკოცნიდა.

სიცელქით და ალერსით დამთვრალი, ტალღა, ორჯერ-სამჯერ ყირამალა გადატრიალდებოდა, ტკბილ კოცნას თან წარიტაცებდა და დიდხანს, დიდხანს ტკბილად უღუღუნებდა ამწვანებულ ნაპირებს სიყვარულის ჰანგებს.

მზე კი შორს იყო; შორს იყო, მაგრამ სხივებს ყოველ წუთში მიჰქონდათ მასთან სამური ამბები; უყვებოდნენ მას: რა მშვენიერია გაზაფხული, როგორ უსაზღვროდ ხარობს ზეცის ყოველი შეილი, რა ნეტარებაა მდინარის ტალღებში ნარნარი.

„ყველგან მამილო, ეუბნებოდნენ მზეს, „ყველგან სიყვარული, სიბო და თავისუფლება“.

მზეც, ამით წახალისებული. უფრო თამამად და მედიდურად კაშკაშებდა ლაყვარდში. ოა! რა თავმომწონე და ამაყი იყო იგი ამ დროს.

მას ახარებდა სხივების ცელქობა და არც თვითონ აძლევდა მათ მოსვენებას, უფრო და უფრო ხშირად გზავნიდა მდინარის ტალღებში სიკოცხლისა და სიხალისის შესაძენად.

რა ეცოლებოდა, სიკვდილის ეშინოდა, ზოგი ეშმაკებზე იყო გადაკიდებული და ტყეში დარბოდა; ზოგიერთებმა-კი ჩვენში საფრაგენტის გარყენილი წესი „Гражданский брак“-ი შემოიღეს.—

პეტრე. ეჰ, რაც იყო, იყო, ჯანდაბა მათ, ეხლა, სიმონ, ჩვენს საქმეს შეუღღეთ.—რა ქვია იმ ჩემ სასიძო სტუდენტს?

სიმონი. სახელი თქვენი სასიძო სტუდენტის, ბატონო, გიორგია, გვარი-კი ქინკლადე.

პეტრე. ნამდვილი სტუდენტია?!

სიმონი. (გააწყბუფა) ეგ რა კითხვაა?!

პეტრე. არა, ეს ისე ვიკითხე, გამიგონია, რომ ეხლა ყალბი ატესტატების მქონე სტუდენტებიც არიანო.

სიმონი. (წყენით. წამოადგება.) მე მივიღივარ, ბატონო, ნახვამდის!

პეტრე. (გაკვირვებულად.) რა მოხდა, რა ამბავია?!

სიმონი. მე დიდათ გულნატკენი ვარ თქვენზე; მე აო შემძლო წარმომედგინა, თუმც თქვენ ისეთ ცუდ კაცათ დამსახვდით, როგორათაც ეხლა დამსახეთ!

პეტრე. მე მაინც ვერ მივმხვდარვარ თქვენს გულისწყრომას.

სიმონი. ამდენინის მაქაალი ვარ, რამდენი სტუდენტი გამიბედნიერებია, რამდენ ახალგაზდა ქალისათვის ბედი მომიძებნია, რამ-

ასე ხარობდენ სხავები მზისა.
ასე ძლიერად ლაპლაპებდა მზე.

ხეები ფოთლებისაგან გაიცალა. არე მარემ სიმწვანე დაჰკარგა. მდინარემაც შესწყვიტა ხალისიანი რაკრაკი, მის ახლოს საშინელი ღუმილი გამეფებულოყო... მას ირგვლივ ცივი და სქელი ყინული შემოეხვია.

იტანჯებოდა, მაგრამ აღარც მისი კვნესა ისმოდა. შიგა კვდებოდა ასე დასაჯა იგი ზამთარმა.

...გათენდა და კაშკაშა მზე წინანდებურად ამოვარდა; მამაცად არე მარეს გაუცინა და თავისი უხვი სხივები მდინარისაკენ გაგზავნა ამოსაცურებლად.

ხალისით და კისკისით წამოითამაშეს სხივებმა და ეძგერენ საკონცენტოდ მდინარის ტალღებს. მაგრამ გულიდან მძიმე ოხვრა აღმოხდათ. სიცივისაგან კანკალი დაიწყეს.

ანკარა ტალღების აღერსის ნაცვლათ, მათ მიეგება ცივი, უგულო და უხეში ყინული...

ტალღები კი ტყვედ იყვენ და ვერაფერს გრძნობდენ.

დენი მშობლის გული გამიხარებია, და დღემდე ჩემთვის სიყალბე არავის შეუწამებია.

პეტრე. დღეს ვინ შეგწამა სიყალბე?

სიმონი. თქვენ, ბატონო, პეტრეზაალიჩ! თქვენი კითხვა ნამდვილი სტუდენტია თუ არა, რას ნიშნავდა?! მე კაცს გირიგებ, გეუბნები სტუდენტიათქო, და თქვენ, კი რაღაც სიყალბეზე მელაპარაკებით.

პეტრე. დაბრძანდით სიმონ, ბოდიშს ვიხდი; მე ეს ისე სხვათა შორის ვთქვი. იყო მაგ ლითი: ერთმა ვალბ „ატესტატინმა“ სტუდენტმა ზემო-იმერეთში მღვდელი დაღუპა, მივიდა ახალგაზდა ყალბი „ატესტატი“ და ლურჯი ქუდით მღვდლისას. მღვდლის ქალიშვილს ახალგაზდა საქმროთ მოეწონა და ხუცესს სასიძოთ; გადაწერეს ჯვარი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ვაიგეს, რომ ახალგაზდას სიმწიფის ატესტატი სამოქალაქო სკოლაში მიეღო.

სიმონი. მაინც თქვენსას განაგრძობთ.—რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს ბაას ამ საქმესთან?!

პეტრე. უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, ეს სხვათა შორის!—მართლა ეგ სტუდენტი რათ უნდა გამოვიდეს?

სიმონი. სულათ, ან გამოძიებლათ.

პეტრე, ხელობას არა უშავს, ჯამაგირი გვარიანი ექნება; პატარა მექრთამეობასაც თუ მიჰყო ხელი, საქმე კარგათ წაუვა.—

სიმონი. რა უშავს: ქრთამ-ჯამაგირიანათ

...და ტყუილი შეიქმნა მუდარა და ვედრება სხივთა, რომ ერთხელ მაინც ამოეცურებინათ ისინი მდინარის ტალღებში, ერთი კონცა მაინც ერგუნებინათ მათთვის, ვინაიდან გან გულქვა იყო და ცივი ყინული იგი.

დაჰკარგეს სიხალისე და სიცქრიალე სხივებმა.

მწარე სუსხმა, სიცივმა და შეუშრობელმა ცრემლებმა წაართვა მათ სიმხნე, სიცხოველე და მოძრაობის უნარი.

აჰა, ერთი შებრძოლება კიდევ და სხივებიც გაიყინა. მზე მხნეობას არ კარგავდა; ელოდებოდა სხივების დაბრუნებას და ჩვეულებრივის, საამური ამბების გაგონებას.

დრო გადიოდა და სხივები არსად სჩანდენ.

მზე კი ისევ ელოდებოდა...

და მხოლოდ ერთ უსინათლო სხივს, ძლივს ძლიობით მისკენ მოარულს, მოჰკრა მან თვალი.

მხოლოდ ამ ერთს შერჩენოდა სიცოცხლისა და მოძრაობის უნარი... მაგრამ ჩაიკრა გულ-

თვეში უკანასკნელ 500 მანეთს გააკეთებს.

პეტრე. სვიმონ! ჩემს ქალიშვილს იცნობს გიორგი?!

სვიმონი. როგორ არა, კიდევ უყვარს.

პეტრე ოჰ, ეგ კარგია თუ უყვარს; (დაფიქრდება) მოდი დაუძახოთ და ჩემ ქალიშვილს ვკითხოთ, რა აზრისა იქნება გიორგის შერთვაზე?!

სიმონი დაუძახოთ.

პეტრე. ნიკოია, ბიჭო, ნიკოია! (შემოდის).

ნიკო: რას მიბრძანებ, ბატონო?!

პეტრე. (ბიჭს) სინდუხტის თხოვე მოვიდეს.

ნიკო. ეხლავე, ბატონო (გადას).

სიმონი. (დაბხეულათ.) ოჰ, მართლა თქვენი ქალიშვილი და გიორგი იცნობენ ერთმანეთს თუ არა, არც ვიცი.

პეტრე. აკი თქვით გიორგის უყვარსო, თუ არ იცნობენ როგორ შეიყვარეს ერთმანეთი.

სიმონი არ ვიცი, გიორგის უყვარს; შესაძლოა შორიდან დაინახა და შეუყვარდა.

პეტრე. (სიამაგნებით) მით უკეთესი.

სიმონი. (განსუკ) ქალი-კი არა, შენი ფულები უყვარს, ფულები.

სინდუხტი. (შემოდის. კარგათ გამოეწობიდა.

შეთითხნიდა ზუდრით. მახინჯია). Зрасти гости!

სიმონი. (ხელს აწიშებს) გმადლობთ, ბარიშნა.

სინდუხტი. Кормъ насъ никто нѣтъ?

სიმონი. დიახ, ჩვენ ვართ, ბატონო. (განსუკ) — ეგ შეჩვენებული ძალზე მახინჯი ყო-

ში მზემ თავისი უკანასკნელი შვილი, გულა გაუთბო და სიცოცხლე ჩაჰბერა...

...და რა გაიგო დანარჩენების ბედი, მწარედ ატირდა... და არ ჰქონდა დასასრული მისს ცრემლთა დენას.

ასე უყვარდა მზეს სხივები, არე მარეს სამწუხრის ზეწარი გადაეფარა, უნუგეშოდ ატარებდა სიცოცხლეს ზეცის შვილი.

სწყინდა ყველას, რომ მზემ ასე უეცრად დაჰკარგა ბრძოლის წყურვილი, სინათლე და სითბო, რომ ის მუღმივმა ტირილმა გამოლია და დააჩიავა.

ძლიერი იყო სატრფოვ ჩემი სიყვარულიც, მე ის მახარებდა და მაცხოველებდა. ჩემი თავი უძლეველად მიმაჩნდა და ვეძიებდი იმ შავს თვალებს, რომლისათვისაც უნდა პირველად გადაეშალა სიყვარულით აღსავსე გული. მხნე და დაუღალავი ვიყავ ამ გზაზე. ...და გნახე შენ... შენმა თვალებმა პირველად აღმინათეს

ფილა, ვაი თუ გამეჭკა სასიძო და დამეღუბა სამაჰანკლო ფულეები!

სინდუხტი. Что говорить, რას ლაპარაკობ?

სიმონი. არაფერს, ბატონო, მალე ნიშნობა უნდა მოვახდინოთ.

პეტრე. სინდუხტი! შენ იცნობ სტუდენტ გიორგი ქინქლაძეს?

სინდუხტი Судентъ Чинкадзе? незнаю.

სიმონი. თქვენ სტუდენტი გიორგი არ გიყვარს?!

სინდუხტი. Я вообще люблю студентъ.

პეტრე. ესეც კარგია, ჩემს ქალიშვილს საზოგადოთ ნაყვარება სტუდენტი. მე მგონია რომ არ იცნობდეს, არც ეს შეგვიშლის ხელს — გაიცნობს და შეიყვარებს.

სიმონი. (განზე.) მე იმას ვტირი სტუდენტი არ გამეჭკეს, თორემ შენი ქალიშვილი სტუდენტ ეშმაკის სახითაც შეიყვარებს.

სინდუხტი. (მიადის.) Пожалуста досвиданіе.

პეტრე, (პაუზა) აბა, ეხლა ფულეებზე მოვილაპარაკოთ.

სიმონი. სწორი, რომ მოვახსენო, ფულეები ძლიან ესაჭიროება ქინქლაძეს. ჯერ პირველ კურსზეა, სამი კურსი გასავლელი აქვს. თითოეული კურსის გავლა სულ ნაკლები რომ ვიანგარიშოთ 1500 მანეთი დაჯდება. სამ წელიწადს 4500 მანეთი. პირველ კურსზე ვალით იზღრებოდა. პროცენტებით 1500 მა-

გულში უგზნელი ცეცხლი... სიყვარული ჩვეულებრივ ფარგლებში ვეღარ მოთავსდა და...

მეც, მოყვარულო, იმედნეულად გადავიშალე მტოკავი გულ. დაგანახვე სიყვარულს ძლიერი ალი და ტრფობა და აღერსის ლოდინში, ვნებით აღსავსემ ჩაგაშტერდი თვალეში... მაგრამ... ..ო, რარიკად ცივი და უგრძნობელი იყო შენი თვალეები. როგორი უხეში და ყრუ კლდე იყო შენი გული; მის სიღრმემდე არც ერთი ჩემი სიტყვა არ წვდებოდა, მას არც ერთი ჩემი ტრფობის ნატყორცნი ისარი არ ესობოდა.

...და ობლად კვდებოდა უდაბნოში ხმა იგი... ჩემი უსაზღვრო სიყვარულის ცელქი სხივები, გაიყინა შენს ცივ გულის ფიცარზედ... იმავ ყინულზედ... ჩემმა თვალეებმა ელვარება და ტრფიალების შუქი დაჰკარგეს... დღეს ისინი მხოლოდ სტირიან. მეც ცრემლად ვდნები და სიყმაწვილე მეჩრდილება.

რად მომეპყრენ შენი თვალეები ასე სასტიკად?!

ნეთი 4500 მანეთს მიუმატე სულ გამოვა 6000 მანეთი; ეხლა 4000 მანეთი მაშის ვალეები აქვს გასასტუმრებელი, სულ დასჭირდება 10000 მანეთი, თქვენ ზედ-მეტს რასაც მიცემთ ეს კიდევ სხვა იქნება. ერთი სიტყვით რაღა გავაგრძელო, დაბარება 15,000 მანეთია.

პეტრე. ეჰ ძალიან არ გაუტყლაქავს საქმე; რა „დუნდუკო-კორსაკოვი“ ხომ არ არის, რომ 15000 მანეთი მივცე

სიმონი. პეტრე ზაალიზ! თქვენგან არ მიკვირს ესეთი აზრი?! დღეს დუნდუკო-კორსაკოვი“ ის არის, ვისაც ბაშკაში აქვს რამე. თქვენს სასიძოს ოცით, ბაშკა სავსე აქვს, სავსევე ხუმრობა ხომ არ არის! სამი წლის შემდეგ შენისიძე სუღია, ანუ გამოიმძიებელი იქნება.

პეტრე. ეჰ, რაც იქნება ეს ღმერთზე კიდია; სამ წელიწადს ჯერ ისიც არ ვიცით, ვიცოცხლებთ, თუ არა? განსოვს, 6 მაისს კუდიანმა ვარსკვლავმა კინალამ დედამიწა დაინგრია.

სიმონი. მერე რა, რომ დანგრეულიყო, შენი ქონება გადარჩებოდა?! მეტი მიეცი, კაცი იშოვო. კარგი სიძე ყოველთვის გამოგადგება; თუ დაიტყვევა ქვეყანა: შენ, შენი ქონება და სიძეც ქვეშ მოექცევი.

პეტრე. (მტკიანეთ) არა, კაცო, 15000 მანეთის მიცემა არ შემძლია.

სიმონი. (გადაწყვეტილ.) მაშ ნახვამდის, ჩვენ ვერ მოვირიდებით.

მზეც სტირის, მაგრამ გაზაფხული ხელ-ახლა დადგება, ცივი ყინული გადნება, სხივები გათბებიან და კვლავ ხალისით დაიწყებენ ნეტარების მორევში ცურავს, მზეც მოცოცხლდება და მალე მხიარული კაშკაშს დაიწყებს... ბედნიერია!..

ხოლო მე კი ..

...ჩემი ხვედრი მხოლოდ ცრემლია და ცრემლისათვის გაზაფხული და შემოდგომა, ხომ სულ ერთია სატრფოვ!..

აკაკი შანჭავაძე.

ქ. დერპტი 1910 წ.

მიყვარს მთქარე.

მიყვარს მთქარე როცა ცაზედ ტოკავს, სტურავს ვითა გედი, ღრუბელს რისხვით გადაყურებს ვარსკვლავებით შენაქელი.

პეტრე. (სიმონი დახმარებს წასკლას პეტრე აჩერებს). მიდიხარ!

სიმონი. რას მოუცადო; იმათგან უკანასკნელი სიტყვა 15,000 მანეთი მაქვს დაბარებული.

პეტრე. 10000 მანეთს მივცემ.

სიმონი.—გროში, კაბიკი არ შეიძლება 15000 მანეთს დააკლდეს (განსუ). ქალი ძალზე მასინჯია, მაგრამ თუ ავწყაბნე ამ ღორს, 15000 მანეთი, კაცს დავითანხმებ. (გადაჭრათ) მე მივდივარ?

პეტრე. აჰ, მოიცა, მოიცა! (თავისთვის) ღმერთო რა ძნელია 15000 მანეთის მიცემა. (დაფიქრდება) მაკალე, მაკალე, ცოლს დავეკითხები.

სიმონი. მაშ მოიჩი, მე შეჩქარება.

პეტრე. (აქანკალებული სმით) ნიკოია!

ნიკო. (შემოდის). Я здрѣсь, батონო. (განსუ.) ხვარ უცემია ამ კაცს ბატონისათვის რაღა გაყვითლებული!

პ—ე. ნიკო! თებროს დამიძახე.

ნიკო ეხლავე, ბატონო. (გადას).

პ—ე. (ამოსუნჯებით). მაშ, სვიმონ 15000 მანეთზე ნაკლებ არ შეიძლება!

ს—ნი. აკი ვთქვი, არ შეიძლება მეტქი (განსუ). 20000 მანეთი რომ მეტქვა, მგონი იმაზედაც დაყაბულდებოდა.

თებრო. (შემოდის. ჰაუზა) გამარჯვება, ბატონო; პეტრე რისთვის მეძახდი?

მიყვარს მთქარე, როცა მძლავრად აპობს ღრუბლებს, ფანტავს წყვილად, და ამ რიგად გზასა იკვლევს მომავლისკენ,—ნათელს, ღიადს.

მიყვარს მთქარე, როცა მალლით დაქათქათებს შევბიო არეს,— და ნათლითა გაბადრული გულში იკრავს ობოლ მხარეს.

მიყვარს მთქარე, როცა უხვად სხივებს ესვრის ტურფა იას; გულს უკოცნის, ეღიმება სააშიყო, გულ-მკერ ღიას.

მეც ვნეტარობ, მასთან ერთად, ჩანგს ხელს ვავლებ ობლად გდებულს, სიცოცხლის ფრთებს გამოვასხავ საოცნებოთ აქლერებულს!..

ლ. ძაბაგური.

პ—რე. რისთვის გეძახდი?—არ ვიცი როგორ მოვიქცე: სიმონს ჩვენი დაფსება უნდა, 15000 მანეთს თხოულობს.

თებრო. რათ თხოულობს 15000 მანეთს?

პ—რე. ის კაცი, რომელსაც სიმონი გვირიგებს 15,000 მან. ნაკლებს არ ჯერდებოა!

თებრო. როგორ? 5000 მანეთს არ დაჯერდება?

პ—რე 5000-სი კი არა, 10000 ვაძლიე, მაგრამ მაინც არ შერება.

ს—ნი. ნახვამდის! (წასკლას დახმარებს.) ბატონებო, ბოლოს სანანებლოთ არ დაგირჩეთ, მე მივდივარ. იმ კაცმა მითხრა გადაჭრილი სიტყვა: „თუ მომცემენ 15000 მანეთს შევირთამ, წინააღმდეგ შემთხვევაში არაო. ნახვამდის!

პ—რე (აჩერებს). მოიცა, მოიცა.—როგორ ვქნათ თებრო?

თებრო. (დახსუყლას). როგორც შენმა ქუჟა ვაგირას, ისე მოიქეცი.

ს—ნი არ შეიძლება ამდენი ცდა, სხვაგანაც მაქვს საქმე.

პ—რე. (შეწუსებულა). მოიცა, თანახმა ვარ.

ს—ნი. მაშ მომილოცავს თქვენი ქალიშვილის გაბედნიერება. ქალბატონო, თებრო, იცოდეთ არ წავიგიათ.

თებრო. (შეწუსებულა). ღმერთომაც ქნას, მოგებული დავრჩეთ.

დროებით, მხოლოდ ასეა.

მუთაისი. ადგილობრივ ქალაქში სტამბების რიცხვი ძალზე ბევრია, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მათი არსებობა დამოკიდებულია მცირე წლოვან მოწაფეთა ექსპლოატაციანზე: ვერ ნახავთ სხენებულ ქალაქში ისეთ სტამბას, სადაც შეგიძლებინ რიცხვი გადაჭარბებული არ იყოს (თუ მსგავსებაში არ მივიღებთ ერთ სტამბას, სადაც შეგიძლებინ მიკროსკოპული თვალთ ვეურებს სტამბის ვატონი). — ამ ბოლო ხანებში მეტის მეტად მცირდება მოწოდებითა დაქირავება, რადგანაც „სტამბის ვატონები“ სულ იოლად გადას იმ მცირეწლოვან შეგიძლებინ შრომითაც, რომლებმაც მხოლოდ ექვსი თუ რვა თვე დაჭყვეს პროფესიის სწავლაში. სტამბის ვატონების საბუნებროთ ასეთ პროცესს ხელს უწყობს, ის რომ ვერ ვიდეკ ახლად დაუენებული შეგიძლებინ გონს ვერ მოსულა, ვერ დაწმუნებულა სხენებული პროფესიის ღირს-შესანიშნავ მხარეებში და

ამ დროს მის გვერდით ხნდებიან სხვა და სხვა „განკურნებები“ ასე, რომ თუ ვი სტამბის ვატონი არის არ განაჩნადებს ბავშვების მიღებაზე, მთხენელები ბევრია და ახა ამდენი შეგიძლებინ აუკანა სამ უნგარიშობა და შემაფერსებელი არის მათთვის, რომლებსაც მთელი ათი წლობით პროფესიის ვანქტაკა მიუღიათ და ესლა ვი უადგილობას განიციდან და უგზავუკვლოთ დასკუთლებენ... ამასუდ სამ სტამბის ვატონები ძლიერ ცოტას აქირბენ ან და სამართლე რომ ვთქვანთ რასუდ შეწუსდებოდნენ, რადესაც მათი ინტერესები სულ სხვას მოითხოვენ.

— არა ნაკლები ექსპლოატაციის ქვეშ იმყოფებიან სტამბაში მომუშავე ქალიშვილებიც, ისინი (ე. ი. ქალიშვილები) ვიდეკ უკეთ ასრულებენ თავიანთ ნაკიარ მოვალეობას, ვინემ ზოგავერთი მამაკაცები, მგრამ მათი ვსამაგირი-ვი ბევრათ მცირა, — „რადგანაც ისენი ქალები არიან“!

* * *

ავრეთვე ამ ჩვენ პატარა ქალაქში, სადაც

ს—ნი. ნახვამდის, ნახვით კაცი ქე ვაჩვენეთ ბულვარში, ეხლა ნიშნობა მოვანდინოთ. მოემზადეთ და მე სულ ცოტა დროში სიძით აქ ვავჩნდები. დროებით ნახვამდის!

პ—რე და თებრო. ნახვამდის. (პაუზა. ცოლ-ქმარა დიდხანს ვაშტერებული უეურებენ ერთმანეთს.)

თებრო. (გამოიარკვევა.) რა დაგვემართა, პეტრე?!

პ—რე. (გამოიარკვევა.) ეჰ, არა უშავს, თუ ღმერთმა კარგათ მაყოფა 15000 მანეთს ორი წლის განმავლობაში მარტო მარტოში და ტარანში მოვიგებ. (თებროს.) თებრო, ფიქრ თავი დაანებე და ეხლა შეუდექი სტუმრების დასახვედრათ სამზადისს. (თებრო გადის. პაუზა.)

პ—რე. (ბეჭის კმხას.) ნიკოია, ნიკოია! ნიკო. (კულის.) რას მიბრძანებთ, ბატონო!

პ—რე. მოდი აქ. (ნიკო შემოდის.) ბიჭო, ხომ ვაიგე რომ დღეს ქალიშვილის ნიშნობა მაქვს?

ნიკო. რა ვიცი, ბატონო, რაცხას წახანვი ველავია-ვი მელაბარაკებოდა—ბატონისას საქმე გლახათ არისო!

პ—რე. Вот дуракъ! რას ნიშნავს საქმე გლახათ არისო! ქალიშვილს ვათხოვებ და საქმე გლახათ არის?!

ნიკო. უკაცრავად, ბატონო, აბშიკა მოვედი, საქმე კარგათ არისო მითხრა.

პ—რე. ჰო, საქმე კარგათ არის. დღეს ნიშნობა მექნება, დღეისწოაჲს ქორწინება.

ნიკო. რაცხა მეზობლებში გვევიგონე პეტრე ქალიშვილს „მოლნი სიყვარულით“ ათხოვებსო, მართალია ბატონო აგი?

პ—რე. ბიჭო! რას ნიშნავს „მოლნი სიყვარულით“ გათხოვება?!

ნიკო. ალბათ თქვენ რომ ათხოვებთ ქალიშვილს, მასე გათხოვებას ქვია „მოლნი გათხოვება“!

პ—რე. ესე, იგი ფულით გათხოვებას ქალიშვილისას, „მოლნი გათხოვება ქვია“!

ნიკო. (განსე.) ბიჭო, ქარ გვევიგე, „მოლნი სიყვარული, ჩვენებურათ ფულის სიყვარული ყოფილა. (პეტრეს) ალბათ მაგას ქვია, ბატონო!

პ—რე. წადი ეხლა ქალბატონს დაეხმარე, რაიმე „ზაკუსკოულობა“ მოამზადეთ, სადაც არიან მოვლენ სტუმრები.

ნიკო. Хорошо, ბატონო, все готово будет (თავისთკას) ქარ ვავკვირდი, სინდუხტიას ვინ ითხოვდა: თურმე ვინცხაა იჰ თვალვებ დასაფსები პეტრე ძონძროხაძის ფულვებს ნათხოვარა.—ვინაა ეჰ გამონიჭებული კაცი ამ ღვთის გლახას ფულვებიხან, რომ იკიდებს უნდა გვევიგო. (პეტრეს) ბატონო „ზაკუსკოულობა“ მოვამზადოთ? ისე რას მიბრძანებთ სინდუხტია არ გამოეწყოს?!

პ—რე. ოჰ, ყველაფერი ქენით, ყველა-

მცირეხელ მცირეა სტამბაში მომუშავეთა რიცხვი, — არ არსებობს არავითარი კავშირი, არც პროფესიონალური და არც სხვა რაიმე უბრალო სოლიდარული, რომლითაც ხსენებულ პირთ შექმნებათ წესრიგით შეხვდნენ ყოველივე მათ დამაფერხებელ მოვლენებს. ამის უმთავრესი მიზეზი უთანაბრობა და სხვა ასეთი ინტრიგანობაა. მაგრამ, როდესაც რომელიმე მომუშავეთა პირს გამოიწვევ ასეთ საჭირო საქმეხელ იგი დახვებრებით მოგიგებს, რომ „აქ ყველაფერი იყო და არაფელი არ გაკეთდა!“ ამას თან დაუმატებს: „ფულები შეგვიკამესო!“ (?) რასაკვირველია, როდესაც კავშირის წევრს არ შეუძლია კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ანგარიშის ფურცელი და მისი ფაქტური კასირის მოქმედება უეჭველია ასედაც მოხდება. კონსერვატივში ქმნის გამოურკვევლობას, მაგრამ როდესაც ლეგალური კავშირების ნება ცუდ პირობებშია, აბა რას ვიზამთ? დღეს დღეობით ისეთი დრო არის, რომ ბევრი გაიძახის ფულების შექმნაზე, ისე-

თებიც რომლებსაც გროში, ფარა არაფელი დახარჯვიათ. ასეთი სუბიექტები მხოლოდ ასეთ კეთილ საქმეებში კაპიკობით ანგარიშობენ და თავის გაიძვერა ინსტიტუტისათვის კი უბრალოდ მანეთებსაც კი ფლანგავენ. უფრო გულსატკენია, როდესაც რომელიმე გაიძვერა ვაუბატონი გამოდის ქუჩაში და ამხანაგებს უჩურჩულებს საწინააღმდეგო პროპაგანდას კავშირის წინააღმდეგ- ისეც ისეთი პირები, რომლებიც მზათ არიან ქრისტეს სჯული გაპყიდონ თავის პირის გასაწაწკუნებლათ.

— იყო და არაფელი გაკეთდა! ნუ თუ ვერ უნდა შეხედოს ჩვენმა თვალებმა თუ რა გაკეთდა? რისთვის უნდა დავივიწყოთ წინანდელი დრო და ჩვენი მაშინდელი მდგომარეობა? წინანდელი ექსპლოატაცია დღევანდელთან შედარებით, მაგრამ ჩვენ სუყველა გვახსოვს? განა ჩვენ ღირსეულათ მოვისხენებთ ჩვენ მოძღვარ ამხანაგებს? რომლებმაც საზოგადო საქმისათვის თავისი ანკარა სისხლი და აქციეს?!? არა, არა და კიდევ მათ ჩირქს ვაცხებთ და ხმა მალლა გავიძახით: „ფულები შეგვიკამეს, დაგეტყუეს-ო და სხვ.“.

ფერი. სინდუხტი საუკეთესო ტან-საცმელში გამოეწყოს.

ნიკო. (განზე). გამოეწყოს თვარა დაამშვენებს აქაურობას. (პეტრეს) слушаюсь, батоню. (გადის).


პეტრე. (ჩაფიქრებული. ჰაუზს). არა, სიძე კარგი ვაშოვე, მარა ეგ ოხერი ფულებიც უხვად გამივიდა. 15000 (ამოახუნეშებს) მანეთი დიდი ფულია! სუდია სიძეც, კარგი საქმია! (შეჩრდება) არა, მოწონება დიდი მექნება. შემომხვდებიან მტერ მოყვარენი და პირ მკინარეთ მომესალმებიან: „პეტრე ზაალიჩის სიცოცხლე!“ უპასუხებ—გმადლობთ—მკითხავენ—პეტრე ზაალიჩ, რას შვრება შენი სუდია სიძე? მიუგებ—გმადლობთ გვარიანათ არის, —(ჰაუზს)—ეს ერთი შეკითხვა რად ღირს მარტო! — „რას შვრება შენი სუდია სიძე?!“ — არა მართლაც ხუმრობა ხომ არ არის სუდიის სიძობა!! (დაფიქრდება) ფულები, ოჰ, ფულები ბლომათ მიმდის, მაგრამ არა უშავს ამ ფულებს, ფიქრი არ არის, ყველას, დიან ყველას გლეხების ზურგზე ავიდებ. ზოგს წონაში შოვატყვილებ, ზოგს ზომაში, და ასე, ანაირად თან-და-თანობით 15000 მანეთს სიძეზე მიცემულს, ისეც, სულ მალე ჯიბაში ჩავიჩხრიალებ. ღმერთი მოწყალეა! (დაფიქრდება). წავიდე ერთი დავხედო, როგორ ემზადებიან სტუმრების შესახვედრად. (გადის. სტენა დადას ხნით დაიქალა).

ნიკო. (შეჰადის. ჰაუზს). ვეციფობთ რაღა! ჩუდნი დელო მოხდა ღმერთმანი; სინდუხტის გათოჯვებას თუ მოვესწრებოდი არ მეგონა და ამასაც მოვესწარი! (შეჩრდება.) ქალბატონმა მითხრა—სუტენტი მიყობაო—ვინაა ეჰ გამოწყვეტილი სუტენტი სინდუხტიას რო თხოულობს. ქვეყნის დაქცევას ვიფიქრებდი, ერთი სიტყვით, ყველაფერს ვიფიქრებდი, ბატონო, ყველაფერს, მარა ამის წარმოდგენა არ შემეძლო, თუ განათლებულ კაცს ფულიზან ჯაბუნაკს აქმევდენ!! დედა, დედა, დედა ქე მეცოდება ის სუდენტი, კილო ჩაცმული ქე დენახება კაცს, მარა გაძრობილი სინდუხტი ჩემა მტერმა ნახა! გაძრობილი ბატონო, გაძრობილი სინდუხტიე, ნამდვილი ქუჩაში რო დაახტუნებენ გილდი მაიმუნი იქნება. ეჰ, ჯანდაბა მაგათ თავს, რაც გინდა ის ქნან. ჩვენ ქე გვაშორებენ ამ ჯოჯოხეთის მაშხალას, და რა მენაღვლება! (წმენდა)

პელაგია. ნიკო, სტუმრები მოდიან.
ნიკო. (დამაჯით) პელაგია, ბოშო, მოდი აქ.
პელაგია. რა გინდა?
ნიკო. რა მინდა და მამიშენის გამონაცვალი ჩოხა. მაკოცნიე ერთი!
პელაგია. დეიკარგე იქით, შე არამხადა, შე ფინთო შენ.
ნიკო. ახია, ახი შენზე იჰ ღეთის გლახა

სირცხვილი მათ, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ წარსული ამხანაგების პატივისცემა და ქუჩა ქუჩა ლაზღანდარობით ჩირქს სცხებენ მათ წმინდა და უანგარო კეთილ მოღვაწეობას.

ას. აშ. დათიკვა ღელაბერძნე.



განცხადება
ცნობილ იაგორ ნიკოლაევიჩისა.

ბატონო რედაქტორო!

როგორც მე შენს თანამშრომელს ცნობილ იაგორ ნიკოლაიჩმა შემომჩივლა გაზეთებში მაქანკლის სახელით მნათლავენო, და ვერ გამოვიდა რა დაუშავე იმ დალოცვილებსო! მე მაქანკალი კი არა, და „მაკლერი“ ვარ. ვინ მოსთვლის რამდენი კეთილი საქმე გავაკეთე: ბევრი გახუნებული სტუდენტი გავასალე, მზითებიანი ქალები ვათხოვე, აბა რა მექნა, ვისაც კი ნახავ გლახას თუ კაის ყველა

რო გცემს. რაიყო რო კუნტრუშობ, ვითომ რა დაგაკლდება ერთი რო მაკოცნიო.

პელაგია. არ ჩეიგდებ ენას?

ნიკო. სანამაძი არ გკოცვებ არა. (გამოეკადაება ჰელაგას, ჰელაგას გარბას, ნაგო მიზდებს, სტეხა წარეულდება).

თებრო. (შემოდან თებრო და სინდუსტა) როგორ დინჯათ და თავდაჭერით მოიქცევი შენ იცი; ილაპარაკე ცოტა და მოფიქრებით.

სინდუსტი, კი, დედა, დინჯათ ვილაპარაკებ.

თებრო. ხომ იცი შენი საქმრო სუდენტია, სტუდენტს ხომ გაგიგონია, ვაგლახათ არაფელი არ მოეწონება.

სინ—ი. ვიც, დედა, ვიცი, როგორ დავიჭირო თავი სტუდენტთან.

თებრო. რუსულად თუ დაიწყო ლაპარაკი დაუკვირდი, აბშიკა არ შეგეპაროს რუსულში.

სინ—ი. აფშიკა какъ говоришь, დედა, не будетъ.

თებრო. აგრე, შვილო, სირცხვილი არ მაქამო, გარებისას ნამეტანს აქეთ-იქეთ ნუ გადიბრანცები.

სინ—ი. არა, დედა! (აჩუკებს) აი, ასე გავიარ-გამოვიარ. (სიარულსას ძალზე იბრანცება)

თებრო. უფრო კობტად (აჩუკებს) აი, აგრე, აგრე. (თებროც დახრეულა დადის).

სინ—ი. კი, დედა-კი, ნამდვილ მაგრე ვიზამ.

ნიკო. (შემოდან) მოვიდა, ბატონო, სტუმ-

იმას გაიძახის: ПОНИМАЮ, სტუდენტო!, მეც შევედივარ მათ მდგომარეობაში, და განა ამაში ვარ დანაშაული! მართალია ბევრმა სტუდენტმა მიატოვეს ქალები, როდესაც შემოვლიათ მათ მიერ მიცემული საქანქლაფი, მაგრამ ის ქალები მაინც ბედნიერი არიან, ვინაიდან სტუდენტის ცოლებათ მოაქვთ თავი-ო. დარწმუნებული ვარ და იმედიცა მაქვს, ბატონო რედაქტორო! მიაქცევთ ყურადღებას იაგორ ნიკოლაიჩის საჩივარს და გაზეთებს გააფრთხილებთ ბ. იაგორი მაქანკლის სახელით აღარ მოიხსენიონ*.

თქვენა თანამშრ. (გახეხედა 8.)

ბათუმის ნოქართა ცხოვრებიდან.

ტყვილია ის ხმები, ვითომც ბათუმის ნოქრებს უმოქმედობა ეტყობოდეს და სრულ გარყვნილებას მისცემოდენ. სრულიადაც არა; ამ ბოლო დროს ნოქრებს დიდი გამოფხიზლე-

ვასრულებ თანამშრომლის წადილს, ვაფრთხილებ გაზეთებს, იაგორზედ კრინტი არ დასძრან.

რედ.

რები (გადის).

თებრო. (სინდუსტას) აბა, შენ აქ მოიცადე, და მე სტუმრებს შევეგებები. (გადის.)

სინ—ი. (მარტო. ჰაუზა.) ჩემი საქმრო მოდის. (დაფიქრდება). რა-კარგია „ზამუფე ვიტტი? ცოტა ქე მრცხენია! Что сказать ა? ვეტყვი я тебе люблю (გაისკდაგს) მგონი მოდიან (ჰაუზა)

პეტრე. (შემაღებს კარებს) მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით (შემოდან: თებრო, სიმონი, სტუდენტა ქანქლადე და სტუმრები).

სტუმრები. აქა მშვიდობა, აქა მშვიდობა!

სინ—ი. ღმერთმა ბედნიერი ქნას თქვენი აქ მოსვლა, ბატონო გიორგი! (აგნებენ) იცნობდეთ ეგ გახლავს თქვენი მომავალი ბედი სინდუსტი ძონძროხაძის ქალი; (სინდუსტას) ეგ გახლავს თქვენი საქმრო, სტუდენტი გიორგი ქინქლაძე.

პ—რე. (მარადებით). დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით (ჰაუზა, სტუმრები ჯდებიან. ბიჭს) ნიკო, ნიკო! (შემოდან ბიჭი. ქალს და სიძეს) აბა, როგორ მოგწონთ ერთმანეთი მომავლო დედოფალო და მეფე?

ნიკო. (თავისთვის) კაი, შენ მოგეცა, კაი დედოფალი გყავს!

სინ—ი. (მარცხვით) Я люблю.

ნიკო. (თავისთვის) ვაი, დეილუბა შენი რუსული.

ბა ეტყობათ. დანაწილებულნი ჯგუფ-ჯგუფობით (შრომა რომ გაუადვილდეთ) ყოველ ღამე კითხულობენ ორმოცდა თორმეტ ფურცლიან წიგნებს, ამასთან ამ წიგნით დაღლილ-დაქანცულები ს-ს კლუბში ერთობიან და ცეკვა თამაშს გულმოდგინეთ სწავლობენ. ამას გარდა ას ორმოცდა ათ ნოქარს აქვს ერთი ქართული გაზეთი გამოწერილი, და ას სამოცი კი რუსული ჟურნალი „ფარსი“! —პროგრესია, აბა რა ჯანდაბა!

დაკუნაა.

აღმანახის ფოსტა.

ზონი. მოკრიმატულეს. თქვენი წერილი მივიღეთ, მხოლოდ ვერ გავარკვეეთ რას სწერთ. ვილაცასათვის როგორც გვაცნობებ, საცოლო გამოუცვლიათ, მაგრამ როგორ მოხდა ეს, ვის დამართეს ეს საჯაყი საქმე თქვენს წერილში არ სჩანს. გარკვევით მოგვწერე და დავბეჭდავთ.

გიორგი. (დაბნეული) მო—მ—წონს.

ნიკო. (თავისთვის) აგიშენდა გამომცემელი, მაგი მოსაწონისია!

თებრო. აბა მეტი რაღა გვჭირია: ქალსა და კაცს ერთმანეთი მოსწონთ.

გიორგი. (პეტრეს და თებროს) ფულებს თუ მომცემთ დავნიშნავ.

ნიკო. (თავისთვის) თვარა ქე გვიბარები! აი შეარცხვინოს ღმერთმა თქვენი „მოდნი სიყვარული“!

პ—რე. ქალის დანიშვნისას ამ ჩემ სიმონთან ჩავბარებ 5000-ს მანეთს, დანარჩენ 10000-ს მანეთს ჯვარის დაწერის წინ მოქცემ.

სტუმრები. კარგი სიტყვაა, პატროსანი სიტყვაა (სტუმრება აჭეთ აჭეთ ღაზაზაობენ.)

პ—რე. (ბაჭს) ნიკო! თურამე არის მზად, მოიტანე.

ნიკო. კი ბატონო. (თავისაკის) ვაი, 15000-სო მანეთო! პეტრე ძონძროხაძეს ამის გაჩენას შავი ქირი რა გაჩენოდა ოჯახში არ ერჩია, ქი-ს 5000-ს მანეთად მოიშორებდა, და სინდუხტიი დაღუპულის გადაშავება 15000 დაჯდა.

სი—ი. აბა, იმხიარულეთ, იმხიარულეთ: პეტრე ძონძროხაძის, პირველი გილდის კუპეცის ქალიშვილი ბედნიერდება.

თებრო. (სკომანს) აბა, სიმონ, ნიშნობა თქვენ მოახდინეთ.

მუთაისი. ნოქარს უადგილობის გამო თქვენი წერილი „ქუთათურ ვაქარ ჰაგვანიძეების საქციელზე“ ამ №-ში არ მიღის.

გამომცემელი—ზ. გოგვაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ს ტ ა მ გ ა

ი. ხელოძისა ქუთაისში.

ღებულბს ეოგელგვან სასტამბო საქმეებს, ქართულს, რუსულს, და ევროპულ ენებზე-სსრულებს კარგათ და თავის დროზე ძლიერ ხელ-მისაწვდომ ფასებშია.

ამ ღლებში გამოვა იუმაონსტული აღმანახი

ჰინკა და საყვირი

დასაბეჭდი მასალები მიიღება შემდეგ ადრესზე: Кутаись, М. Кутателадзе (Наборщ.).

სი—ი. დიდი სიამოვნებით (ბეჭდებს გამოართმევს გიორგის, —ღმერთმა ბედნიერი ქნას თქვენი შეუღლება (უნდა ბეჭდების წამოგება, გიორგი შეხერდება).

გ—გი. მოიცა, 5000 მანეთი?

პ—რე. (ფულებს გადასცემს სიმონს)—აჰ ჩაბარე, ღმერთმა ბედნიერი ქნას. (ფულების მიცემისას პეტრეს ხელები უკანკალებს).

სი—ი. (გიორგის) ხომ მიიღე ფულები; აი, ეხლა ბეჭედი წამოიგე ხელზე; (აბებს) აბა ეხლა ერთმანეთი გალაკოცნეთ. (მხიარულებას).

სინ—ი. СТЫДНО, გადაკოცნა არ შეიძლება.

პეტრე. (სტუდენტს) დაითვალე ფულები.

გ—გი. (პეტრეს) არ არის საჭირო დათვლა, ვიცი არ დააკლებდით.

სტუმრები. ღმერთმა გიბედნიერონ ერთმანეთი, ღმერთმა! ურბა. ურბა! (ფლოცავენ მშობლებს, და დანიშნულებს სთითათო)

ნიკო. (შემოდის, შემოაქვს სასმელება და საჭმელები.—ურბა, ბატონო, ურბა! (აღაგებს)—აჰ, მიირთვით (იძისას)—პელაგია, პელაგია შემოდი მალე, გააწყვე სუფრა. (ქაღბატონს) აბა, ქალბატონო, მიაღაგ-მოაღაგე. (პეტრეს) მომილოცავს ბატონო, თქვენი ქალიშვილის გაბედნიერება,

პ—რე. შენ ჯერ საქმეს მორჩი, და მე-რე მომილოცე.

მისივეთი უფროდღეა

მისივეთი უფროდღეა

ს ა ვ ა ჯ რ ო ს ა ხ ლ ი

„ბ. ს. ყუფარაძე, თ. ნ. ბაგუა და ე. თ. ჯაპოზია“

ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩაზე, ძმ. ოცხელების შენობაში

გვაქვს ჰატივი გაცნობით, რომ 1910 წლ. 1 მაისიდან ჩვენ გავსვენით

ს ა ვ ა ჯ რ ო ს ა ხ ლ ი

სადაც იყიდებ პარტიზმით ყოველგვარი

გალანტერეინი საქონლები და ფეხსაცმლები.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩვენდამი რწმუნებულ „სავაჯრო სახლში“

ყოველ-გვარი საქონელი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში.

იმედი გვაქვს, რომ ჰატივიცემული საზოგადოება არ დასტოვებთ უყურადღებოთ ჩვენს სავაჯრო სახლს და გამოუცხადებს ნდობას.

ნიკო. მასევიზამ ბატონო. (სტოლს აწეობენ).

პ--რე. მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, სტოლს მოუახლოვდით, (ჟდებან. გორგი და სინდუსტა რაღ-რაღე ჟდება).

სტუმრები. (შეამხნევენ, რომ დანიშნულება რაღ-რაღე სსუდან) არ შეიძლება, არა. მეფე და დედოფალი ერთად დაჯდნენ, ერთად.

სინ--ი. СТЫДНО ღმერთმანი.

სტუმრები. არაფერია, არაფერი, მაგრე, მაგრე (სჟდებან) ერთმანეთს მოუჯექით.

ს--ნი. (ყველა სტოლის ირგვლივ სსუდან) პეტრე! (სტაქნით ხელში) ღმერთმა შენს ოჯახს წარმატება მისცეს და გიცოცხლოს ახლად დანიშნული ქალი და სიძე.

სტუმრები. (ახლან სტაქნებს) ურია! (სმაურბაა.) პეტრე ღმერთმა გიცოცხლოს ახლად დანიშნული ქალი და სიძე.

თებრო და პეტრე. გმადლობთ, ბატონებო, გმადლობთ.

სიმ--ი. (დანიშნულებს) ახლად, დანიშნულებო, ვთხოვ ზეციერ ღმერთს შებერებოდეთ ერთმანეთს ისე როგორც მზე, და მთვარე. (სკამენ)

ნიკო. (შემოაქვს ღვინით სავსე ბოთლები.) აჰ, ბატონებო,—ურია! ურია!

სტუმრები. (ერთად და სთადადად) ღმერთმა გისმინოს ღმერთმა, სიმონ!

პ--რე. (სიძეს) სიძე, თქვენ არაფერს არ

იტყვით, როგორ მოწყენილი ჯდხარ.

სინ--ტი. Папа ему стыдно.

ს--ო. (თავისთვის) რა აქვს სამხიარულო, შენი ქალიშვილის შემხედვარემ ამდენხანაც რო გაძლო და არ გეიქცა, ესეც საკვირველია!

პ--რე. სასირცხო არაფერია: ყველა კაცს ქალი უთხოვია, და ქალი კაცს გაყოლია.

ნიკო. (თავისთვის) სასირცხო ის არის, რომ განათლებულმა სუღეტმა ფულისათვის ჯაბუნაი ქაბა.

გი--ი. (ამოიხენეშებს, თავს ზეკით აწეებს) არა, მოწყენილი სრულიადაც არა ვარ, ბატონო, პეტრე! ნიკო. (თავისთვის) შენს მტერს იმისანა შენ რომ მოწყენილი ხარ, მარა რაიზამ „მოლნი სიყვარულის“ ბრალია შე სკოლაო შენი სინდუხტიაზე გადაკიდება.

ს--ნი. (სტუდენტს) გიორგი! გაცოცხლოს ღმერთმა, გაგათავებინოს ყველა კურსები, და ერთგულად გამსახუროს ყოველის შემქნელმა შენს სიმამრ პეტრეზე. (მსაჩუქებაა. სტუმრები, ჭაქა ჭაქაზედ უჩაყუნხენ და უგობანს:) ურია! ურია!

ს--ო. (თავისთვის) ეგ არაფერია, ერთი სუტენტი დეიღუბა, დეიღუბა მარა, ვაი, თუ სხვა სუტენტებიც ამ „მოლნი სიყვარულით ირთამენ ქალებს! ოუშენდა მაგენს გამომცემელი, ძან ნასტაელი-კი ყოფილარინან. (სმაურბაა. მოისმის ურას ძახილი, ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

ფარდა.

იღაა ბახტაძე.

